ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5410067

ნომერი: AR1813970

თარიღი : 06.04.2021

გაცემის თარიღი : 19.05.2021

გაცნობის თარიღი : 19.05.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პასტერი , N7-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N140გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ძიძიკაშვილი პ/ნ 12001092336
- თბილისი ლილოს დას. I მ/რ კორ. 15 ბ. 28

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ბესტ ბრენდ გრუპი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404462835
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მეჰმეთ თალი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01097001402

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ძიძიკაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციაში "დემონტაჟი"–ს სამუშაოები არ უნდა იყოს ნახსენები; ამასთანავე განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია– დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება". აღნიშნულის შესაბამისად საჭიროა წარმოდგენილ იქნას კონსტრუქციული საექსპერტო შეფასება დაშლის გარდაუვალობასთან დაკავშირებით., იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელი იქნება აღნიშნული შენობის რეკონსტრუქცია, საჭიროა შესაბამისი პროექტის წარმოდგენა.
2. წარმოდგენილი იქნას - “მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების” -ტექნიკური რეგლამენტთან შესაბამისობის დასკვნა და შესაბამისად მომზადებული გრაფიკული დოკუმენტაცია.
3. .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: წარმოდგენილ იქნას არსებული გენგეგმა.
4. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი:
-განმარტებით ბარათში მითითებულ იქნას არსებული და საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.
-არსებულ გეგმებზე დატანილ იქნას დასაშლელი ნაწილები.
-არსებულ გეგმებზე დატანილ იქნას ფართები.
-არსებულ ნახაზებზე დატანილ იქნას აბსოლიტური ნიშნულები და ექსპლიკაციები.
-წარმოდგენილ იქნას არსებულ სახურავის გეგმა.
-არსებულ გეგმებზე დატანილ იქნას ღერძის ხაზები.
-არსებულ გეგმებზე დატანილ იქნას საკადასტრო საზღვრები საკადასტრო გეგმის შესაბამისად.
-არსებული ჭრილი 1-1 მოყვანილ იქნას გეგმასთან შესაბამისობაში კედლის ნაწილში(უკანა ფასადის მხარეს).
-არსებულ ნახაზებზე საკადასტრო ხაზის ნაცვლად დატანილია ჭრის ხაზები, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო შენობის კედლები(კონტურში) წარმოადგენს მომიჯნავე შენობის საერთო კედელს, საჭიროა წარმოდგენილ იქნას შესაბამისი განმარტება.
-განმარტებითი ბარათის მიხედვით ხდება შენობის დაშლა/აღდგენა, საპროექტო ნახაზებზე კი სხვადასხვა ფერში აროს აღნიშნული შენობის კონკრეტული ნაწილები, აღნიშნულზე გაკეთდეს შესაბამისი განმარტება ან ნახაზებზე მიეთითოს ექსპლიკაცია.
-საპროექტო გეგმებზე მოცემული ტერასით ხდება სამეზობლო მიჯნის ზონის დარღვევა, საჭიროა აღნიშნულის დაცვა.
-საპროექტო გეგმებზე დატანილ იქნას აბსოლიტური ნიშნულები, ასევე სახურავის გეგმაზე მითითებულ იქნას ნიშნული.
-სრულად იქნას წარმოდგენილი შენობის დეტალების სპეციფიკაციები.
-საჭიროა წარმოდგენილ იქნას ქუჩის განშლა მიმდებარე შენობა-ნაგებობებისა და საპროექტო შენობის ჩვენებით, საჭიროა მიუთითოთ აბსოლიტური ნიშნულები და სიმაღლეები როგორც მომიჯნავე ასევე საპროექტო შენობის.
5. .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით. -> .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით pdf ფაილი.: წარმოდგენილ იქნას მშენებლობის ორგანიზების პროექტი.

6. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა -> .ძეგლის საინჟინრო - გეოლოგიური კვლევის pdf ფაილი: წარმოდგენილ იქნას აღნიშნული.
7. .არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: ფოტოსურათებზე დატანილ იქნას თარიღი.
8. წარმოდგენილ იქნას კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების მდგრადობისა და ჩასატარებელი სამუშაოების მათზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ.
9. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კონსტრუქციული პროექტი * : საჭიროა წარმოდგენილ იქნას კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასება. კონსტრუქციული პროექტის მისამართი კი იქნას დაზუსტებული საჯარო რეესტრის ინფორმაციის შესაბამისად.
10. წარმოდგენილ იქნეს შპს „ბესტ ბრენდ გრუპის“ დირექტორის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა.
11. წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის თანხმობა, რომელიც უნდა გაიცეს იპოთეკარის წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ან თან უნდა ერთვოდეს თანხმობის გამცემი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
12. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფიქსირდება შეზღუდვა - „დარეგიტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“, საჭიროა მოიხსნას აღნიშნული შეზღუდვა და წარმოდგენილ იქნეს განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერი.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.